



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალი ათონის მღვიმე

ახალი ათონის მღვიმე, ანაკოფიის მღვიმე, ივერიის მღვიმე, მღვიმე გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), ახალი ათონის ტერიტორიაზე, ივერიის მთის ჩრდ. კალთაზე. მღ-ების მანიკვარისა და ფსირცხის წყალგამყოფზე.

ა. ა. მ-ის ბუნებრივი ჩასასვლელი, ფართოპირიანი და შვეულკედლებიანი უფსკრული ზ. დ. 60 მ სიმაღლეზე იხსნება. გამომუშავებულია ქვედაცარცულ სქელშრეებიან, ძლიერ დანაპრალებულ კირქვებში და შედგება ვერტ. (ჯამური სიღრმე 189 მ) და ჰორიზ. (ჯამური სიგრძე 3285 მ) მონაკვეთებისაგან. აღსანიშნავია დიდი დარბაზები: „აფხაზეთი“, „ქართველ სპელეოლოგთა“, „ივერია“, „მოსკოვი“, „სოხუმი“, „თბილისი“, „პელიქტიების,“ გაქვავებული ჩანჩქერი „აფსნი“ და სხვ. ზოგიერთი მათგანი მდიდრულადაა მორთული სხვადასხვა სიდიდისაა და ფორმის სტალაქტიტებით, ფარდებით, კასკადური ნაღვენთებით; ცალკეულ დარბაზებში მძლავრი პლასტ. თიხები (სისქე 10 – 30 მ) და ნგრევის უხვი მასალაა.

მღვიმე გამოირჩევა დარბაზების გიგანტურობით. მღვიმური სისტემის ფსკერის ფართობი 50000 მ²-მდეა, მოცულობა 1,5 მლნ. მ³ აღემატება. ამ მხრივ იგი ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში, შედის საქართველოს უდიდესი კარსტული მღვიმეების ხუთეულში. მღვიმის სამხრეთულ დარბაზებში წყალდიდობისას იჭრება წყალი; მღვიმის უდაბლესი სართული წყლით არის ავსებული. ერთ-ერთი სიფონური ტბის სიღრმე 26 მ აღწევს. მღვიმეში ჰაერის ტემპ-რაა 12,6 – 14,4°C, შეფარდებითი ტენიანობა 94 – 100%. მღვიმეში გვხვდება კიბოსნაირნი, ობობასნაირნი, მრავალფეხიანები და სხვ. მღვიმე 1961 აღმოაჩინა და შეისწავლა საქართვე. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტმა. „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინ-ტის პროექტით ტურისტული მიზნებისათვის კეთილმოაწყო

„თბილგვირაბმშენმა“; გაიხსნა 1975.

1977 ა. ა. მ-ის აღმოჩენისა და შესწავლისათვის მკვლევართა ჯგუფს [ზ. ტინტილოზი, (ტატაშიძე), შ. ყიფიანი, ა. ოქროჯანაშვილი], არქიტექტორებსა და ინჟინერ-მშენებლებს (ვ. გოცირიძე, გ. ჯაყელი, ე. მამულია, ი. კოჭუხოვი, გ. ციმინტია, რ. რიჟინაშვილი, ა. გოფი, ვ. ვოუბა, თ. მარკობაშვილი) მიენიჭათ სსრკ სახელმწიფო პრემია.
